„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოების მუშაობისა და ადვოკატირების შედეგები იმერეთში 2021 წელს

სამოქალაქო საბჭოებმა იმერეთის 4 მუნიციპალიტეტში (ტყიბული, ქუთაისი, ხონი, წყალტუბო) ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე 40 პრობლემა/საჭიროება წარადგინეს. აქცენტი, წინა წლების მსგავსად, ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, სოფლის შიდა გზების, წყლის სისტემების რეაბილიტაცია-გამართვაზე, სტიქიურინაგავსაყრელებისლიკვიდაციაზე, მუნიციპალურიტრანსპორტის გამართვაზე, გარეგანათების წერტების მოწყობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაკეთდა.

სამოქალაქო საბჭოები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

ჩვენი ორგანიზაციის ქუთაისის ოფისისა და საბჭოს წევრების მუშაობა-ადვოკატირების შედეგად, წარდგენილი პრობლემებიდან 26 გადაიჭრა, ნაწილზე მომზადდა ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები და მათი გადაჭრა 2022 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, იმერეთის რეგიონში სამოქალაქო საბჭოების აქტიურობის შედეგად პირველად მომზადდა პეტიცია, კერძოდ, ტყიბულის 4 სოფელში: მანდიკორში, ბობოთში, ციხიასა და ნაძვაში 250 მოქალაქემ წყლის სისტემის მოწესრიგება მოითხოვა. მუნიციპალიტეტმა გვაცნობა, რომ მუშაობა რესურსების მოძიებაზე დაწყებულია - როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა ირწმუნება, დაგეგმილმა სამუშაოებმა არამხოლოდ დასახელებულ, არამედ მუნიციპალიტეტის 20 სოფელს უნდა მოუგვაროს წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები.

2021 წელს ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მუშაობისა და ადვოკატირების შედეგად:

ტყიბულში

- სოფელი ნაბოსლევში დასრულდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ამავე სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა. სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება;
- ტყიბულში, ტყვარჩელის ქუჩის N24 და N26 კორპუსებში ეზოები კეთილმოეწყო, სანიაღვრე არხების მოწესრიგებამ კი მოქალაქეებს კორპუსის სარდაფებში წყლის დაგუბების პრობლემა მოუხსნა;
- ტყიბულში, თაბუკაშვილის N8-მდე მისასვლელი გზა მოიხრეშა. მუნიციპალიტეტი აღნიშნულ გზაზე ბეტონის საფარის დაგებას მიმდინარე წელს გეგმავს.

ქუთაისში

- მუნიციპალური ავტოპარკი განახლდა და დასრულდა ავტოპარკისთვის განკუთვნილი შენობის მშენებლობა;
- ნიკეას ქუჩის N66 და N68 კორპუსების ეზოები და მისასვლელი გზები მოწესრიგდა;
- ნიკეას N22 და N24 კორპუსებთან მუნიციპალურმა სამსახურმა ნარჩენების კონტეინერები დაამატა;
- დასუფთავდა ჭომის ჰესის მიმდებარედ დანაგვიანებული ტერიტორია;
- თამარ მეფის ქუჩაზე, მე-9 საჯარო სკოლის მიმდებარე სკვერი დასუფთავდა;
- ავტომშენებლის ქუჩაზე კორპუსების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოცხადდა;
- ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის მიმდებარედ) საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ტენდერი გამოცხადდა.

წყალტუბოში:

- შანიძის ქუჩაზე გზის საფარის და ტროტუარის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაციისთვის პროექტი მზადდება;
- დაიწყო შანიძის ქუჩაზე განთავსებული ამორტიზებული ნაგვის ურნების შეცვლა;
- საკრებულოს ყოფილი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გარეგანათების სისტემა დამონტაჟდა;
- სოფელ ხომულში მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნება გზის საფარის რეაბილიტაციის შემდეგ, რაც 2022 წელს არის დაგეგმილი;
- დასუფთავდა სანატორიუმ სავანეს მიმდებარე ტერიტორია, მუნიციპალიტეტი მსგავს სამუშაოებს პერიოდულად ჩაატარებს;
- წყალტუბო-სათაფლიის გზის რეაბილიტაციისთვის პროექტი მზადდება, სამუშაოები 2022 წლისთვის დაიგეგმა;
- რიონსა და ზარათში გარეგანათების სისტემის რეაბილიტაცია 2022 წლისთვის დაიგეგმა.

ხონში

- ხონში, სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად ძველი შენობის დემონტაჟი დაიწყო;
- სოფელ ახალბედისეულის გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს;
- მოსე ხონელისა და შამათავას ქუჩების კვეთაზე შუქნიშანი და საგზაო მოძრაობის ნიშნები მოეწყო;
- დაიგეგმა საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა;
- არხი მოეწყობა თავისუფლების მოედანზე მდებარე სკვერთან.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ტყიბული, სოფელი ნაბოსლევი
დასრულდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ტყიბული, ტყვარჩელის ქუჩის N 24 და N 26 კორპუსებში ეზოები კეთილმოეწყო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ტყიბული, ტყვარჩელის ქუჩის N 2 4 და N 2 6

მოწესრიგდა სანიაღვრე არხები, რამაც კორპუსის სარდაფებში წყლის დაგუბების პრობლემა მოაგვარა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ქუთაისი

მუნიციპალური ავტოპარკი განახლდა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ქუთაისი

დასრულდა მუნიციპალური ავტოპარკისთვის განკუთვნილი შენობის მშენებლობა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ქუთაისი, ნიკეას N 2 2 და N 2 4

კორპუსებთან მუნიციპალურმა სამსახურმა ნარჩენების კონტეინერები დაამატა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ხონი, სოფელი ჩაის მეუურნეობა

საჯარო სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად ძველი შენობის დემონტაჟი დაიწყო

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად

ხონი, სოფელი ახალბედისეული
გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების აღვოკატირების შედეგად

ხონი

არხი მოეწყობა თავისუფლების მოედანზე მდებარე სკვერთან